


რამდენიმე წამიც და, გამოდევნებით გუნდური რბოლის სტარტს
ჩაიღებენ საბჭოთა ველოსიპედისტები — ლესტერის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები. წინა პლანზე არიან საბჭოთა გუნდის კაპიტანი ს. მოსკოვი და მწვერვლი რ. ვარგაშკინი. უკან მოჩანს ი. ფხაკაძე, რომელიც სტარტის წინ თანაგუნდელს ეხმარება. ველოსიპედისტებს მხოლოდ რჩევა-დარიგებას აძლევს სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვერვლი ვ. ბახვალოვი (მარჯვნივ).



ეროვნული ჩემპიონატი

(ლესტერის მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი მასალა № 80-3 ბ.3.)

2 ღლივ და...



ბურინი, 4 სექტემბერი. დაუმარცხებლად განაღეს ტურნირი საბჭოთა ფრენბურთულმა ქალბატონმა და დასასურებლად მოიხვეჭეს მსოფლიო უნივერსიალში უძლიერესის სახელი. ვერცხლის მედლები ერგოთ იაპონელებს, ხოლო ბრინჯაოსი — ბრაზილიელებს.

საბჭოთა ესპანდონისტებმაც ოქროს მოიპოვეს: გუნდური პირველობის ფინალში მათ დაამარცხეს უნგრელები — 9:4.

ფინალური ოთხეულის პირველივე შეხვედრაში გამარჯვება იხილა სსრ კავშირის კალათბურთულ ვაჭთა ნაკრებმა — მან დაამარცხა რუგოსლავიელები — 87:71 (39:39). აშშ-ს ნაკრებმა მოუგო კუბელებს — 87:73. ამ გუნდების შეხვედრის პირველი ტაიმის ფრედ დამთავრდა — 44:44.

ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა ლენინგრადელი ვ. ვოიკინი, რომელმაც 19,30 მეტრზე აკრა ბირთვი. მას აჯობა გერმანის წარმომადგენელმა ჯ. ბრუნენიკმა — 19,97 მ.

ურის ტყორცაში საბჭოთა სპორტსმენებმა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: ვ. შველევსკიმ ურო გაგზავნა 68,54 მეტრზე, ხოლო ვ. ამბროსიევმა — 66,80 მეტრზე. აქ პირველი იყო ი. საქსე (გერ) — 72,32 მ.

სიერბეზე სტომაში ყველას აჯობა ა. ლერვიუსმა (ინგლისი) — 791 სმ, ხოლო 100 მეტრზე ქალთა რბენაში — რ. მაისნერმა (გერ) — 11,5.

ქალთა შორის შუბის ტყორცაში მოიგო კ. ილგენმა (გერ) — 52,04 მ. ეს შედეგი მსოფლიო უნივერსიალის რეკორდია.

შესარჩევ შეჯიბრებაში სოსხუმელმა ვ. სანგემა სამხტომში მსოფლიო უნივერსიალის რეკორდი დაამყარა — 16,75 მ.

ორი დღეც და, უნივერსიალა დაშთავრდება. დღისითვის ამჟამად სპორტსმენებმა 44 მედალი მოიხვეჭეს (ოქროს 19, ვერცხლის 15, ბრინჯაოს 10), საბჭოთა სტუდენტებმა — 42 (ოქროს 18, ვერცხლის 13, ბრინჯაოს 11).

საქალაქი

● მოსკოვი, 4 სექტემბერი. გულში დამთავრდა ვახეთ ისოვეტსკის სპორტის "პროზის XIII გათამაშება პოკეში. ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ მოსკოვის გუნდები — "სპარტაკი" და "ცესკა". დამატებით დროში გამარჯვება იხიემს სპარტაკელებმა — 6:4. ისინი ორი წლის შემდეგ კვლავ დაეუფლენ პრიზს, ამჯერად, მეორედ.

ყველა — ათიანში

პლზენი, 5 სექტემბერი. 600 ქულა 600-დან ასეთ ბრწყინვალე შედეგს მიაღწია მტორეკლიობრიანი შაშხანი წოლელა სროლაში მიხსკელმა ვ. პარხომოვიჩმა მეგობრული არმიების აქ მიმდინარე ჩემპიონატში. ეს შედეგი ქულით აღემატება მსოფლიო რეკორდს.

ამ სახეობის გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულმა საბჭოთა მსროლელებმა 7 ქულით გააუმჯობესეს უწინდელი მსოფლიო მიღწევა — 2887 ქულა დააგროვეს. II ადგილზეა პოლონეთის გუნდი (2885), III — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები (2882).

პენემატური შაშხანით სროლაში ყველას აჯობა საბჭოთა არმიელმა ა. კრასტოლევსკიმ — 888 ქულა 400-დან. გუნდურ ჩათვლაშიც სსრ კავშირის წარმომადგენლებმა იმარჯვეს — 1519 ქულა. II ადგილი დაიკავეს უნგრელებმა (1508), III — პოლონელებმა (1508).

პროლეტარიათ ყველა გვეყვება, ზეარითით!

ლელო

№ 175 (4169) 1970 წ. საქართველო. კვირა. ფასი 3 კპ.

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

საზ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

მედალი ჩემპიონებისთვის

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა აჭარის V სპარტაკიადში გამარჯვებული სპორტსმენებისა და გუნდებისთვის დააწესა ჩემპიონის მედალი. ამასთან დაკავშირებით, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი მედლის ესკიზის შესაქმნელად აცხადებს კონკურსს.

საუკეთესო ესკიზისთვის დაწესებულია პრემია — 100 მანეთი. ესკიზები წარმოდგენილი უნდა იქნეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში (ბათუმი, ლენინის ქ. № 18) არა უგვიანეს 20 სექტემბრისა.

ვადამდე დაიწყო

ბარსელონა, 4 სექტემბერი. ევროპის მოცურავეთა, წყალბურთელთა და წყალში მსტომელთა ჩემპიონატი საბერძნეთის შაბათს გაიხსნება, მაგრამ ეს საინტერესო ასპარეზობა ვადამდე დაიწყოს — ლესტერის სტარტი იღებს წყალბურთელებმა.

ბარსელონის ახალ საცურაო აუზში — "ბერნარდო პიკონილი-ში" საბჭოთა გუნდმა მწვევე ბროლიში დაამარცხა რუმინეთის ნაკრები — 4:3 (2:0, 1:1, 0:2, 1:0).

კენესკრამ ერთ ქვეჯგუფში მოაქცია სსრ კავშირის, რუმინეთის, ბელგიის, ფინეთისა და ესპანეთის კოლექტივები. ფინალურ ექვსეულში მოსახვედრად საქირთა I ან II ადგილზე გასულა.

დანარჩენ ორ ქვეჯგუფში არიან: უნგრეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, საბერძნეთის, ავსტრიისა და იუგოსლავიის; იტალიის, გერმანია, ირლანდიისა და შვეიციის ნაკრები გუნდები.

ევროპის ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები, კონტინენტის რვაგზის ჩემპიონები — უნგრელები და ოლიმპიური ჩემპიონები — იუგოსლავიელები ჯერ კიდევ კენესკრამდე განაწილეს სხვადასხვა ქვეჯგუფში.

იუგოსლავიის გუნდმა დღეს დიდი ანგარიშით (5:0) სძლია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წყალბურთელებს.

კ ი დ ე ვ ე რ თ ი მ ა რ შ რ უ ტ ი თ

"ლელოს" 23 ივლისის ნომერში მოთავსებულ მასალაში — "გიფევეთ ბუნების წილში" — მოთხრობილი იყო ქართველ ავტო-მოტორისტთა გამარჯვებულ საკავშირო რალოში — "ლენინის იდეები იმარჯვებულს".

სულ ახლახან კიდევ ერთი საინტერესო ცნობა მივიღეთ მოსკოვიდან, სადაც ქუთრიმ შედგებით დააჯილდოვა ადიგენის ავტო-მოტორისტების წევრები.

... ადიგენის სპორტსკოლის დირექტორმა, ავტო-მოტორისტების ხელმძღვანელმა ნ. მამულაშვილმა თავი მოუყარა ამ საქმის ენთუზიასტებს, რომლებიც ასეთი მარშრუტით დაადგინეს გზას: ადიგენი — ახალციხე — გორი — ორჯონიკიძე — დონის როსტოვი — ქუდანოვი — მელიტოპოლი — სიმფეროპოლი — სევასტოპოლი — ფოთლსია — ქერჩი — ნოვოროსიისკი — სოკი — სამარტრეია — ხაშური — ბორჯომი. 4 ივლისს ადიგენელებმა სახელოვნოდ დაასრულეს ლაშქრობა. უკან დარჩა 4 ათასზე მეტი კილომეტრი და, რაც მთავარია, უავარიოდ.

საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის მეორე მდივანმა კ. რეხვიაშვილმა და კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. მერაბიშვილმა გამარჯვება მიულოცეს ნ. მამულაშვილს, მ. ბელოვს, ა. ამბარცუმიანსა და მათს ამხანაგებს.

ქუთრის მუშაობა არ დაუმთავრებია და დასრულებული ვართ, რომ მალე ქართველ ავტო-მოტორისტთა კიდევ ერთი სასახელო გამარჯვების მოწმე გავხდებით: ქარელის რაიონის ავტო-მოტორისტები გაემგზავრებიან იმ ადგილებში, სადაც იბრძოდა სახელოვანი ქართველი სარდალი ვ. კეკელიძე და მარშალიოს მემორიალურ და ფას დადამენ მის ძეგლთან.

წარმატება ვუსურვოთ ქარელის რაიონის სპორტსმენებს.

3. ნაპროკაშვილი, ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს ავტო-მოტო-ველოტურის ტა სექციის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი.

მკლეოსანთა სტარტები

პარშაპა, 5 სექტემბერი. "სკრის" სტადიონზე დაწყებული სპორტორი-სო შეჯიბრება პოლონეთის ასალი რეკორდით აღინიშნა: ვ. ბუცარსკიმ ქუკით 515 სმ სიმაღლე გადალახა. მასპინძელი ქვეყნის რეკორდი გაიმყარა ს. იუჟევიკმა, რომელმაც 110 მეტრზე თარჯიბრებში 13,9 წამი აჩვენა. ფოტო-ფინიშმა გამარჯვება ამერიკელ ბ. სტილს მიაკუთვნა, რომელსაც იგივე დრო აქონდა.

800 მეტრზე რბენაში კარგი შედეგით გამარჯვდა ი. პლანინი (ჩეხოსლოვაკია) — 1:46,3. ფინიშთან მეორე იყო წლეგანდელ სეზონში დაწინაურებული პოლონელი მ. ბადენსკი — 46,1. 18 წლის ვ. გოლუმბოვსკიმ (პოლონეთი) ფოსნიურის ყაიდით 218 სმ

სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. საინტერესო იყო ქალთა შეჯიბრებაც. თუნდაც ის რად ღირს, რომ 18 წლის კ. ჰემონდმა (აშშ) 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიურ ჩემპიონს კ. ბუსონს (საფრანგეთი) აჯობა. გამარჯვებული პოლონელი მტყორცნელის გ. სერანსკის შედეგია 78,64 მ.

400 მეტრი ყველაზე სწრაფად — 45,8 წამში გაიბრძა ჯ. სმიტმა (აშშ). II ადგილზეა გამოცდილი პოლონელი ბ. ბადენსკი — 46,1. 18 წლის ვ. გოლუმბოვსკიმ (პოლონეთი) ფოსნიურის ყაიდით 218 სმ

სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. საინტერესო იყო ქალთა შეჯიბრებაც. თუნდაც ის რად ღირს, რომ 18 წლის კ. ჰემონდმა (აშშ) 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიურ ჩემპიონს კ. ბუსონს (საფრანგეთი) აჯობა. გამარჯვებული პოლონელი მტყორცნელის გ. სერანსკის შედეგია 78,64 მ.

100 მეტრზე რბენაში საუკეთესო იყო ამერიკელი ა. დევისი — 11,5, ხოლო 100 მეტრზე თარჯიბრებში — მსოფლიო რეკორდსმენი კ. ბალცერი (გერ) — 15,1. სტადიონის სარბენი ბილიები და

უორისტ-პილის კორტაზე

უორისტ-პილი, 4 სექტემბერი. აქ დიდ ინტერესს იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთელთა ლია ჩემპიონატი.

წარმატებით აიღო სტარტი სსრ კავშირის ჩემპიონმა, მოსკოველმა ი. მოროზოვამ — პირველ წრეში მან დაამარცხა ინდონეზიელი ლ. ლიემი — 5:7, 6:4, 6:1. თავდაპირველად მოსკოველ ჩოგბურთელს ძალიან გაუჭირდა მეტოქის თამაშის უჩვეულო მანერასთან შეგუება: ინდონეზიელი ჩოგბურთელი ორივე ხელთ თამაშობს და ბურთის მიმართულების შესაბამისად ჩოგანი ხან ერთ ხელში გადააქვს, ხანაც მეორეში.

ამ ჩემპიონატში მოასპარევე მეორე საბჭოთა სპორტსმენი ქალი, ალმათელი მ. კროშინა დაამარცხა ს. მარტინესთან (აშშ) — 3:6, 4:6.

შეუბოროტო იყო ვაჟთა წყვილების ა. მეტრეველ — ვ. კოროტკოვისა და ა. ვეშ — დ. რალსტონის ბრძოლა. საბჭოთა ჩოგბურთელმა მარცხის სიმარტე იყენიეს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ უძლიერეს ლტეტთან — 6:7, 7:6, 4:6, 6:3, 5:7. "სახოგბურთო მარათონის" თავიდან აცილების მიზნით ამ შეჯიბრებაშიც ახალი წესია შემოღებული: ყოველ ხელში ოდი-დიდი 13 ქულა უნდა გათამაშდეს.

სექტორები პოლონური წარმოების ტარტანთა დაფარული.

იმბატა, 5 სექტემბერი. ფინეთის ამ ქალაქში მოასპარევე ექვსმა სტაიერმა 14 წუთზე ნაკლებ დროში გაიბრძინა 5000 მ. ეს ამ ქვეყნის მძლეოსნობის ისტორიაში არანახული ამბავია. ყველას აჯობა ვ. ალა-ლეილაამი (13,43,0), ხოლო VI ადგილზე გასული ლ. ვირენის დროა 13,57,8.

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ბ. ნევალამ 87,60 მეტრზე ტყორცა შეუბ.

სიასლენი, სიასლენი...

შექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ფეხბურთელების წარმატებლობის შემდეგ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა შეიმუშავა საგანგებო ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავნ სსრ კავშირში ფეხბურთის შემდგომ განვითარებასა და წინსვლას. ფეხბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ იმ უმთავრეს სიახლეებს, რომლებიც უახლოეს დროში განხორციელდება.

უპირველესი ღონისძიება იქნება ის, რომ შემცირდება ოსტატთა გუნდების რაოდენობა. ცხადი გახდა, რომ ამ კატეგორიის გუნდების ხელშეწყობა გაზრდაში ზიანის მტვი არაფერი მოუტანა სამამულო ფეხბურთს. გაისად „ა“ კლასის უმაღლეს ჯგუფში ითამაშებს 16, ხოლო I ჯგუფში—21 გუნდი (ეს ციფრი შემდგომში დავა 18-მდე). მნიშვნელოვნად შემცირდება „ბ“ კლასის გუნდების რაოდენობა.

იმ მიზნით, რომ მტვი სტიმული შეიქმნას აქტიური, შემტვი ფეხბურთისთვის, შემუშავებულია ჩემპიონატის მატჩებში ქულათა დარიცხვის ახალი სისტემა: წაგება — 0, ფრე — 1, მოგება — 3 ქულა. ამ სისტემას ექსპერიმენტის სახით გამოიყენებენ „ა“ კლასის ერთ-ერთ ჯგუფში.

მასობრივი ფეხბურთის წინსვლისთვის დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი. უფრო ფართო მასშტაბები მიეცემა საქალაქო, რაიონულ შეჯიბრებებს. საგანგებო ყურადღება მიექცევა ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთს. 1971 წლიდან სისტემატურად ჩატარდება ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკავშირო კონკურსები.

ხოლო ხანს გახშირდა მწვრთნელთა დაუყოფნა, თვითნებური მოწვევა და განთავისუფლება გუნდებიდან. ამიერიდან ოსტატთა გუნდების მწვრთნელებს სამუშაოზე მიიღებენ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე 3 წლით და მათი განთავისუფლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ საკავშირო კომიტეტთან შეთანხმებით. განხორციელდება სხვადასხვა სახის ღონისძიებანი მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასაშლელად.

მოთამაშეთა ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა შესაძლებელი გახდება მხოლოდ დეკემბერში და, როგორც წესი, იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელი 3 წელი თამაშობს ერთ რომელიმე კლექტივში. ოსტატთა გუნდის წევრს თავისი გამოსვლების მანძილზე სსრ კავშირის პირველ ორჯერ. ამას გარდა, შემცირდება ის ციფრი, რომელიც გუნდს უფლებას აძლევს სხვა კლექტივიდან აიყვანოს მოთამაშეები. „ა“ კლასის უმაღლესი და I ჯგუფების გუნდების მოთამაშეთა გადასვლას ამტკიცებს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია. 1971 წელს მოხდება ოსტატთა გუნდების ყველა ფეხბურთელის ბელახალი ატესტაცია.

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის კლექტივები გაიხიდან მონაწილეობას მიიღებენ დიდ საერთაშორისო ტურნირებში, 2 გუნდი გამოვა ბაზრობათა თასის გათამაშებაში. 1971 წლიდან სსრ კავშირში დასახალი მიეცემა ტრადიციული ტურნირის, რომელიც უცხოეთის საუკეთესო კლექტივებს მოიწვევთ.




სსრ კავშირის პირველობა

მატჩების გეგმაცია

4 სექტემბერს ლენინგრადში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ადგილობრივმა „ზენიტმა“ მიიღო ორჯონიკიძის „სპარტაკი“.

აუტსაიდერთა ეს შეხვედრა უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. ანგარიში გახსნა ლენინგრადელმა უნანოვმა, მაგრამ მოწუხინმა გაქვითა ეს გოლი. „ზენიტმა“ მაინც გაიმარჯვა გონაროვის ბურთის წყალობით — 2:1.



იხვე ცვილვა

საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში კვლავ მოხდა ცვილვა. ცხვა-სა და „ზენიტის“ შეხვედრა 9 სექტემბრიდან გადმოტანილია 8 სექტემბრისთვის იმ მიზეზით, რომ არჩიელმა ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ერაყში მიემგზავრებანი.

დღეს ცინვერ ეკრანზე

საქართველოს სსრ-ის ახალი კალენდარი

ახალი კალენდარი

ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ რესპუბლიკურ ჩემპიონატში არ შედგა რამდენიმე ტურის მატჩები. გთავაზობთ გადაღებული მატჩების ახალ კალენდარს.

სამამულო

10. ასე (თბილისი) — „მესხეთი“ (ახალციხე), „გიგანტი“ (ლაითური) — „სინათლე“ (თბილისი), „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „ენგური“ (ჭუგდიდი) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი).

11. „მშენებელი“ (ბორჯომი) — „ციხარა“ (სიღნაღი).
15. „მესხეთი“ — ფიჭულტურის ინსტიტუტი (თბილისი).

16. „ბახმარო“ (ჩოხატაური) — ასე (თბილისი), „ციხარა“ — „მშენებელი“ (გალი), „მეტალურგი“ (წესტაფონი) — „ისანი“ (თბილისი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ფიქარი“ (წულუკიძე), „ვარკეთილი“ — „მადარელი“ (ჭიათურა).

17. „იმერეთი“ (თერჯოლა) — „სინათლე“, „სამცხე“ (აწყური) — ფიჭულტურის ინსტიტუტი — „მშენებელი“ — „ისანი“ — „ციხარა“.


28. ასე (თბილისი) — „სამცხე“, „იმერეთი“ — „ბახმარო“, ფიჭულტურის ინსტიტუტი — „მშენებელი“ — „ისანი“ — „ციხარა“.

24. „მეტალურგი“ (წესტაფონი) — „ენგური“.

30. ასე (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „ფიქარი“ — „სამცხე“, ფიჭულტურის ინსტიტუტი — „ისანი“.

დღეს კიევიში შედგება საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივი და თბილისის „დინამოს“ თანკლექტივთა შორის. ცენტრალური ტელევიზია აწყობს ამ მატჩის ტრანსლაციას. იგი დაიწყება 20 საათზე თბილისის დროით.

მატჩი
7. „მშენებელი“ — ასე (თბილისი), „სამცხე“ — „ბახმარო“.
9. „მშენებელი“ — ფიჭულტურის ინსტიტუტი.
14. „ბახმარო“ — „ლოკომოტივი“ (სამტრედია), ასე (თბილისი) — „მშენებელი“.



არ შეველის გაქვი, გოგონი...

არა მგონია, ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ იყოს ისე უყურადღებოდ და უპატიონოდ მიტოვებული სტადიონი, როგორც ჩვენა გვაქვს, საჩხერეში.

რამდენიმე წლის წინ ეს საფეხბურთო მიწები შემოკრავეს და რკინის ჭეშკარიც დაკიდეს. არ გაუფლია დიდ დროს და ერთ კუთხეში ქვის კედელი ჩამორიდა, ჭეშკარის ცალი მხარე მოირყა და ამის შემდეგ სტადიონის ტერიტორიაზე თავისუფლად თარეშობს ყოველგვარი ჭურბის საქონელი, რომელიც აბინძურებს და აოხრებს ისედაც გაპარტახებულ მიწებს. ხის სკამები დამალი და აცენილია, წვიმიან ამინდში ამ მიწებზე თამაში პირდაპირ შეუძლებელია.

სტადიონს ჰყავს დარაჯი, რომელიც ხელფასს დებულობს. იგი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს მიწაძირულ ობიექტებს, მოუაროს მას, მაგრამ ამ კაცს აქ იშვიათად ნახავთ. მდგომარეობის გამოსასწორებლად ის გააკეთეს, რომ ჭეშკარს ჭაჭვი ჩამოკიდეს და ბოქლომი დაადეს. მაგრამ ბოქლომი რას შეეღის, თუ ღორები, ინდაურები, ძაღლები ისევე თავისუფლად ინავარდებენ სპორტული ბაზის ტერიტორიაზე.

საანსაზღვრდ. (ჩვენი კორ.)
საჩხერე.

ქუთაისელი კალა

ქუთაისი, 4 სექტემბერი. ქუთაისის ერთ-ერთი ყველაზე ნორჩი მოქალაქის პეღე გურულის სახელზე დღეს ბრანზილიდან მოვიდა ნობათი მისი სახელოვანი სეზონისგან. ნობათი აღმოჩნდა ოქროს კალმერთ ნიკეს სტატუეტის 14-სანტიმეტრიანი ბრინჯაოს ასლი და ვერცხლის ფიალა.

„დამწავე“ გამოდგა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის საქსოვი სააქტის ოსტატი, ვეტერანი ფეხბურთელი მისიელ გურული. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მას მალე გაეშეიქნა. სახელგანთქმული ბრანზილიელი ფეხბურთელის თამაშით აღტაცებულმა მისიელმა გადაწყვიტა გაეისთვის პეღე დაერქმია და ამის შესახებ მისწერა კიდევ თავის კერას, თანაც, სპორტული დღეგრძელობა და დიდი ბედნიერება უსურვა.

და აი, პასუხიც მოვიდა.

ს. ხარხალაშვილი.

ლვოვის „პარპასი“ დიდი გაჭრის წინ

1969 წლის 17 აგვისტო მუდამ ემახსოვრებათ ფეხბურთის მოყვარულებს. ამ დღეს მოსკოვში შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი და პარველად საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში მოხდა ის, რომ ამ პრიზს მეორე ემელონის წარმომადგენელი დაეუფლა. ლვოვის სატელევიზიო ქარხნის გუნდმა „პარპასი“ დაამარცხა როსტოვის ასე და შინ წაიღო სასიქადულო ნადავლი. ფინალური მატჩი ლვოველმა ფეხბურთელებმა ჩაატარეს გაბედულად, თავგამოდებით, მაღალტექნიკურად...

ეს დიდი წარმატება იყო, ახლა კი, სულ მალე, ლვოვის „პარპასის“ ახალი სერიოზული გამოცდა ელის: მან საბჭოთა ფეხბურთის სახელი უნდა დაიცვას ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ ლვოვის ფეხბურთელთა შესახებ. 1962 წლის შემოდგომით ამ ქალაქის ქარხანა „ლოვოველმანის“ გუნდმა საკავშირო შეჯიბრებაში „ბ“ კლასის კლექტივებს შორის თამაშის უფლება მოიპოვა, ხოლო 1963 წელს გუნდი უკვე „ა“ კლასის II ჯგუფში თამაშობდა. მეორე ემელონში გასვლასთან ერთად გუნდმა მიიღო ახალი სახელწოდება — „პარპასი“ და უკვე ლვოვის სატელევიზიო ქარხანას წარმომადგენდა. 5 წლის მანძილზე გუნდმა ბევრ წარმატებასაც მიაღწია და ბევრი მარცხიც იწვნია. ქარხნის ათასობით მუშა გაცხარებით მსჯელობდა განვლილ თამაშებზე, ხარობდა გამარჯვებით, გამოთქვამდა გულისწყრომას დამარცხების გამო, როცა ფეხბურთისადმი ინტერესი თითქოს გუნდის ყველაზე თავგამოდებულ თაყვანისმცემლებსაც კი ეკარგებოდათ ხოლმე. გულშემატკივრები მკაცრი და მომთხონი არიან, მაგრამ როგორც სამართლიანობა დლოტობთ.

ამ წლების მანძილზე „პარპასი“ სატურნირო კიბის თითქმის ყველა საფეხურზე იყო.

გაცილებით უფრო ორგანიზებული და დისციპლინიანი გახდა გუნდი ახალი უფროსის, წარსულში კარგი ფეხბურთელისა და გამოცდილი პედაგოგის კ. მიკლოშის მოხვლის შემდეგ. კლექტივი სრული ძალით ამოქმედდა.


1968 წელს „პარპასი“ ახლოს იყო სანუგვარ მიზანთან — „ა“ კლასის პირველ ჯგუფში გადასვლასთან. გუნდმა I ადგილი დაიკავა მეორე ჯგუფში და მონაწილეობა მიიღო გადასასვლელ მატჩებში, მაგრამ უხერხოდ ითამაშა და სვერდლოვსკის „ურალმაში“ გაუშვა წინ.

ერთი წლის შემდეგ „პარპასი“ სსრ კავშირის თასის მოიპოვა, ახლა ემზადება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ტურნირში მონაწილეობისთვის და წარმატებით თამაშობს საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში. გუნდი უმაღლეს ლიგაში გადასვლის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია.

16 სექტემბერს ლვოვში და 30 სექტემბერს რუმინეთში „პარპასი“ თასების მფლობელთა თასის გათამაშების მატჩებში შეხვედება ბუქარესტის „სტაუსს“.

სურათზე: მარცხნივ — ლვოვის „პარპასი“; მარჯვნივ — გუნდის მეკარე მ. ლუპოლი ვარჯიშის დროს.

გ. შანდრინის ტექსტი და ფოტო (საქდესი).



გადგობა

გამოცდილება უპირობო

მოსწავლეთა საქვეყნო სპორტ-კლავი მხოლოდ 1972 წელს ჩატარდება, მაგრამ საქართველოს განათლების სამინისტროს ბაიშვილი და მოზარდთა უმაღლესი სპორტული დასახლებების რესპუბლიკურ მ. ა. სკრლიანო უკვე შეიმუშავა მზადების სამუშაოები გეგმა და ახორციელებს კიდევ მას. სწორედ ამ გეგმის შესაბამისად მოეწყო ნორჩ მოჭადრაკეთა ნაკრების 25-დღიანი შეგრობა კისლოვოდსკში. შეგრობაში მონაწილეობდნენ უმცროსი ასაკის — 1955-57 წლებში დაბადებული მოსწავლეები.

საერთო ფიზიკურ მომზადებასა და ჭადრაკის თეორიული მეცადინეობის პარალელურად ნორჩი მოჭადრაკეები ხალისით მონაწილეობდნენ შეჯიბრებებში. მათ ორი მატჩი ითამაშეს: ერთი — კისლოვოდსკის „ძიების“ ნაკრებთან (შეხვედრა წააგეს 4,5:7,5), მეორე — ადგილობრივ თანატოლებთან (ეს მატჩი მოიგეს — 7,5:1,5).

მერე ნორჩი მოჭადრაკეები ბუკლიში (მოლდავეთი) გაემგზავრნენ „მეგობრობის“ საჭადრაკო ფესტივალში“ სათამაშოდ. გუნდის შესადგენად შესარჩევი ტურნირი გაიმართეთ. ნაკრებში მოხვდნენ: კ. ბუკევი — მ. კაპარაძე (თბილისის 61-ე სკოლა, VIII კლ.), ზ. ზამბახიძე (თბილისის 114-ე სკოლა, VIII კლ.), გ. ციხისელი (თბილისის 45-ე სკოლა, VII კლ.), გ. მაჭარაშვილი (თბილისის მე-16 სკოლა, VIII კლ.) და ი. ავალოვსკი (ქუთაისის მე-17 სკოლა, VIII კლ.), გოგონები — მ. წერეთელი (თბილისის მე-14 სკოლა, VI კლ.), ნ. ტალახაძე (თბილისის 23-ე სკოლა, VIII კლ.) და თბილისელი მ. მამისთვალავა. სათადარიგო მთამაშედ წაიყვია-

ნეთ გ. ზაიჩივი (თბილისის 50-ე სკოლა, VII კლ.), სხვადასხვა მიზეზით „მეგობრობის“ ფესტივალში არ შედგა, ამიტომ ჩვენი გუნდი ექვს დაფზე შეხვდა ბელციის მოსწავლეთა ნაკრებს. მატჩი შეეწინააღმდეგეთ სისტემით (ერთი გუნდის ყველა წევრი ხვდება მეორე გუნდის ყველა წევრს) ჩატარდა. მასპინძელთა გუნდში ოსტატობის კანდიდატი და 5 პირველთაანობის თამაშობდა. მწვევე ბრძოლა მოიგეს მოლდაველებმა — 21,5:19,5.

ბელციში ყველაზე მეტად ისახელათავე მ. კაპარაძემ (მწვრთნელი მ. ხიზანიშვილი), რომელმაც აბსოლუტურად უკეთეს შედეგს მიაღწია — 5,5 ქულა 6-დან. კაპარაძემ მოჭადრაკე ტურნირშიც და ახსნაგურ მატჩებშიც შესანიშნავად ითამაშა: 16 შეხვედრაში 12,5 ქულა მოაგროვა.

ალბათ უინტერესო არ იქნება მ. კაპარაძის ერთ-ერთი პარტიის გაცნობა. მასში კარგად ჩანს თბილისელი კმაწვილის ხელის ნიჭი.

კოსმეკი
კაპარაძე
[Chessboard diagram showing a game position]

კაპარაძე გაბედულად იწყებს კომბინაციურ შეტევას შავ მეფეზე: 15. მ:დ5! კ:ა1 16. მ:ე7+ მფ8 17. კ:ფ5! ლ:დ4 18. ე3 ლ:ე5 19. ხ3 მ:ფ6 20. მფ2 მ:ე8 (უარესია 20. ... ლ:ე7 21. ე:ა1) 21. ფ4 ლ:ბ2 22. ფ5 კ:15 (სჯობდა 22. ... გ:1) 23. ე4 მ:ე6 24. მ:გ6+ მფ8 25. მ:ე7+ მფ8 26. ე5 ლ:ე5 27. კ:ე4 ლ:ბ2+ 28. მფ1 15 29. მფ6+ მფ8 30. მ:18 მფ:18 31. ლ:17. შავები დანებდნენ.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ი. ავალოვსკიმ (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი დ. ჩირაძე). მისი ნადავლია 10 ქულა 16 შეხვედრაში. ქუთაისელმა კაპარაძემ I თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

გოგონებში კვლავ იმარჯვა საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონმა მ. წერეთელმა (მწვრთნელი მ. ინწკირველი).

სხვა ბავშვებს, ჩემი აზრით, უკეთ შეეძლოთ ითამაშო. ბეგრს, რა თქმა უნდა, გამოცდილება აქვია. ეს არა მარტო ნაკლებად თამაშის შედეგია, არამედ არასისტემატური მუშაობისა თეორიის საკითხებზე.

შეკრებამ დაგვანახა ჩვენი ხარვეზები, მიგვიჩინა, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ამაზე საუბარი გვექნება რესპუბლიკური სკოლის პედაგოგებთან, რომელთაც უახლოეს დროში მოეწყობა. მთავარი, ალბათ, მაინც ისაა, რომ საჭიროა სისტემატური ხასიათი მივიღოთ ნორჩი მოჭადრაკეების საქალაქთაშორისო შეხვედრებს. აქ შექმნილი გამოცდილება მოსწავლეებს სპორტკლავში სუბიექტურად სამსახურს გაუწყვეს.

მ. ალხანოვილი, მწვრთნელი ჭადრაკში, შეკრების უფროსი.



„რეალი“ და „ატლანტიკი“

ქალისი (ესპანეთი) დამთავრდა საინტერესო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ „რეალი“ (მადრიდი), „ატლანტიკი“ (ბილბაო), „მილანი“ (იტალია) და „ინდეპენდიენტე“ (ბუენოს-აირესი).

პირველ დღეს არგენტინელებმა ანგარიშით 2:0 სძლეს „ატლანტიკოს“, „რეალისა“ და „მილანის“ მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო კი ფრედ დასრულდა — 2:2. შემდეგ წრეში გავიდა „რეალი“, რომელმაც უკეთ გამოიყენა 11-მეტრიანი საჭარბო დარტყმები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „რეალი“ და „ინდეპენდიენტე“, ძირითადი დრო აქვს ფრედ დაშთავრდა (2:2), მაგრამ შემდეგ „რეალმა“ 2 ბურთი გაიტანა და პირველ ბრძვს დაეფუძლა.

მადრიდის მეორე გუნდი — „ატლანტიკი“ მონაწილეობდა მაროკოს ტრადიციულ ტურნირში, რომელსაც „მუჰამედის თასი“ ეწოდება. პირველ დღეს ესპანელებმა ანგარიშით 2:1 მოუგეს „სენტ-ეტენს“ (საფრანგეთი), ხოლო მაროკოს არმიის ნაკრებმა სძლია ლიქეს „სტანდარტს“ (ბელგია). ფინალში „ატლანტიკი“ იოლად მოუგო მაროკოს გუნდს — 4:1.

მაჰურაკვირი „აიკასში“

კმაშალაული ურუგვაელი მჭკარე ლ. მასტრკევიჩი, რომელიც ახლა ერთ-ერთი უძლიერესი

სია მსოფლიოში, პოლანდიაში ჩავიდა. ახალ სეზონში „პენინაროლის“ ეს ყოფილი მჭკარე ამსტერდამის „აიკასში“ გამოვა. ეს გუნდი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალისტი იყო 1969 წელს.

იდეალური ნაკრები

ბრაზილიურმა გავრთმა „ეოტრალ დოს სპორტსმა“ მოაწყო გამოცდილება: „შეადგინეთ მსოფლიოს იდეალური ნაკრები“. ანკრტა შეავსეს ბრაზილიელმა სპორტულმა მომომხილველებმა.

აი, მისი შედეგები: ბენქსო (ინგლისი), უბინასი (ურუგვაი), შნე-ლინგერი (გერ), მური, კუპერი (ორივე — ინგლისი), კოლოდოლო, გერსონი, რიველინი, ეიარზინი, ტრსტაო, პელა (ყველა — ბრაზილია).

დიდიმ დატოვა კარუ

გამოჩინილმა ბრაზილიელმა სპეციალისტმა დიდომ, რომელიც შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია პერუში, დატოვა ეს ქვეყანა. გავრთ „ეორნალ დოს ბრაზილის“ კორესპონდენტთან საუბარში დიდომ განაცხადა, რომ მისი ოცნება ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელობა.

პერუდან დიდი გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც დროებით ავარჯიშებს ერთ-ერთ გუნდს.

ბოტკინიკის მოწაფე

ბოლო წლებში შესამჩნევად დაწინაურდნენ ახალგაზრდა საბჭოთა მოჭადრაკეები ა. კარაოვი, ი. ბალაშოვი, რ. ვაგანიანი, მ. პოდგაევი და ვ. ტუქმაკოვი. მათ საჭადრაკო ხაზარო ალაპარაკეს. ყველამ ალაპარაკა, რომ ამ კაბუკების სახით საბჭოთა ჭადრაკის ლიდერებს შესანიშნავი ცვლა გამოუჩნდა. ამიტომ დიდ ინტერესს იწვევს მათი მონაწილეობა სსრ კავშირის შშ-ე ჩემპიონატის ფინალში (ერევანი, ნოემბერ-დეკემბერი).

ახლა გავცნოთ იური ბალაშოვი.

1970 წელი ფეხბურთის აღმორჩნდა 20 წლის ბალაშოვისთვის. გაზაფხულზე მან მოსკოვის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. მერე წარმატებით ითამაშა ევროპის IV გუნდურ პირველობაში და სულ ახლახან იუგოსლავიაში გამართულ „მეგობრობის ტურნირში“ V ადგილი დაიკავა. ამ დიდ შეჯიბრებაში ბალაშოვმა გაუსწრო ცნობილ დიდოსტატებს ს. გლიგორინს, ს. რეშვესკის, ა. მატანოვიჩს, მ. შატლოვიჩს და საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

დავიბადე და ვიზრდებოდი ბატარა ქალაქ შალდინსკში, — გვი-

ამბობს იური. — ჭადრაკის თამაში ადრე ვისწავლე. კაბუკი შევედი „ტრუდის“ სპეციალურ საჭადრაკო სკოლაში, რომელსაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი ხელმძღვანელობდა. ბელმა გამიღიმა, როცა ბოტვინიკმა ყურადღება მომაქცია და ცალკე მამეცადინებდა. 1967 წელს, სამუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განვაგრძე მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის საჭადრაკო განყოფილებაზე. ცხადია, რომ ბოტვინიკს უფრო ხშირად ეხვედებოდი.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან სი-ახლოვემ ძალიან დიდი სარგებლო-

ბა მომიტანა. ქემპირიტად სრულყოფის სკოლა გავიარე: ბოტვინიკმა გამანდო თავისი საჭადრაკო ლაბორატორიის საიდუმლოებანი.

რა თქმა უნდა, ჭადრაკში ახლაც მუდამდე ვმეცადინებო: ძირითადად შინ და დამოუკიდებლად. ზოგჯერ ვსწავლობ რომელიმე ცნობილი მოჭადრაკის პარტიებს, ვცდილობ ამოვიკითხო მისი შემოქმედებითი მრწამსი, გემოვნება, ჩვევები. შემდეგ ვამზადებ სადებიუტო სქემებს. უმათოდ დღეს ვერაფერს მიადლევი. ინსტიტუტში თვისუფლად დღეებში ვმეცადინებ და დღის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე. მხოლოდ სადილისა და ვახშმის დროს ვისვენებ. ჭადრაკის დავასთან მავიწყდება დროის არსებობა. დამით არასოდეს არ ვმეცადინებო.

ფეჭირობ, რომ თამაშის სრულყოფის სწორ გზაზე ვღვაჯარ.

ბრონშტეინის წინადადებით საბჭოთა ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციამ შემოიღო ჭადრაკში სსრ კავშირის თასის გათამაშება. ამას წინათ დნეპროპეტროვსკში ჩატარდა თასისთვის ბრძოლის პირველი ეტაპი. როგორც ცნობილია, აქ გაიმარჯვეს თვით ბრონშტეინმა და ახალგაზრდა ოსტატებმა ვ. სავონოვა (ხარკოვი), ლ. ალბურტმა (ოდეხა) და ა. შმიტმა (რიგა). ეს ოთხნივე თასისთვის ჰილილს განაგრძობს მოსკოვში I ოქტომბრისა.

დნეპროპეტროვსკში საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ბრონშტეინისა (მოსკოვი) და ოსტატ მ. კატალიმოვის (ყაზახეთი) მატჩი, რომელიც საბოლოოდ დიდოსტატმა მოიგო. საკდესის ფოტოკორესპონდენტის ა. ზაპარას სურათზე თქვენ ხედავთ ბრონშტეინსა (მარცხნივ) და კატალიმოვს ერთ-ერთი შეხვედრის დროს.

4 სექტემბერს გაიმართა „ა“ კლასის I ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე: „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 1:1; „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ამირი“ (დუშანბე) 0:1; „ალგა“ (ფრუნზე) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 4:1; „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ჰორილია სოვეტოვი“ (კუბინსკი) 3:1; „კარაბატი“ (ლევივი) — „ტექსტილშიკი“ (ივანოვი) 3:1; „მოლოდოვა“ (კიშინიოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:2; „ყუბანნი“ (კრასნოდარი) — „ყარანთი“ (ალმა-ათა) 0:2; „მეტალისტი“ (ხარკოვი) — ასკ (საბაროვსკი) 2:0; ასკ (კიევი) — „დინამო“ (დნეპროპეტროვსკი) 1:3; „ფოტოგორისი“ (ვილინიუსი) — „რუბინი“ (ყაზანი) 2:0; „დაუგავა“ (რიგა) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 0:0.

შტრაიკბრეკერები აქაც გამოჩნდნენ

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი საფეხბურთო ლიგის (ნულ) გუნდების წევრებმა საშემოდგომო სეზონი კინადამ ჩაიშალა. ამერიკის პროფესიული სპორტის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი დარგი უკვე დიდი ხანია განიცდის იმავე კრიზისს, რასაც შეერთებული შტატების მთელი ეკონომიკა.

ამერიკის პროფესიული საფეხბურთო გუნდების მებატონეებისთვის მთავარი მიზანი იყო და არის მაქსიმალური მოგება. ისინი მთამაშეებს ისევე ექცევიან, როგორც ბურჟუები დაქირავებულ მუშებს. მთელი შემოსავალი სპორტული კლუბების მებატონეთა სტიფებში შედის, მთამაშეებს კი (გამონაკლისს მხოლოდ ვარსკვლავები შეადგენენ) არც ისე დიდი გასამრჯელო აქვთ. ამას გარდა, მათ უნდა ემუქრებათ საფრთხე, რომ ახლო მომავალში შეტესმეტად ღარიბი პენსიის ამარა დარჩებიან.

რა გასაკვირია, რომ პროფესიონალი ფეხბურთელები დროდადრო იძულებულნი არიან გამოიყენონ კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის ტრადიციული იარაღი — გაფიცვა. მათთვის ეს ფაქტურად ერთადერთი ხერხია თავიანთი სამართლიანი მოთხოვნების თუნდაც ნაწილობრივი დაკმაყოფილებისა. სწორედ ეს მოხდა ამ სეზონის დასაწყისშიც. პირველი კალენდარული თამაში ჩიკაგოს სტადიონზე შეიძლებოდა ამ სეზონში უკანასკნელი აღმოჩენილიყო. სწორედ ამ დროს გახდა ცნობილი, რომ ფეხბურთის გუნდების წარმომადგენელთა ორდოიანი მოლაპარაკება მთამაშეთა ასოციაციის ხელმძღვანელებთან უშედეგოდ დაშთავრდა. მთამაშეები პენსიის გადიდებას მოითხოვდნენ, მებატონეებმა კი ცივი უარი თქვეს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მაშინ ყველა გუნდის ფეხბურთელებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ბრძო-

ლა უშედავთო იყო. „დათვის“ გუნდის წევრმა ბენი მაკრემ კორესპონდენტებს განუცხადა: ჩვენი ასოციაციის არსებობა ჩვენსავე სიმტკიცეზეა დამოკიდებული.

პირველი მოლაპარაკების შედეგად მთამაშეები იძულებული გახდნენ მოთხოვნები შეემცირებინათ. მაგრამ კლუბების მებატონეებმა მაინც არც ერთი ცენტი არ დათმეს.

ამავე დროს, ფეხბურთელთა მოწინააღმდეგეები ყოველმხრივ ცდილობდნენ გაფიცვა ჩაეხშოთ შტრაიკბრეკერთა დახმარებით. მათ საზეიმოდ გამოაცხადეს საწვრთნელი მანაკრების გახსნა და „სკიერ“ მთამაშეებს დამატებითი შემოსავალი აღუთქვეს.

სპორტსმენტა უმეტესობამ აღშფოთებით განაცხადა უარი ამ წინადადებაზე. ეს დაპირება არ მიიღეს ახალგაზრდა მთამაშეებმაც კი, რომლებიც გუნდში სულ ახლახან მივიდნენ და, მთამაშეთა ასოციაციის წესების თანახმად, გაფიცვაში მონაწილეობის მიღება არ ევალებოდათ, ვიდრე სამ მატჩში მაინც არ ითამაშებდნენ.

მაგრამ მოლაპარაკები მაინც აღმოჩნდნენ. მავალითად, საწვრთნელ მანაკში მივიდა ჯეიმს კერტისი — „მალტიმორ კოლტის“ მთამაშე. მან თქვა: მინდა დავაგროვო მთლიანი დლოარი, სხვა დანარჩენი ჩემთვის სულ ერთიაო.

კერტისს მიმდევრებშიც გამოუჩნდნენ და გაფიცვა ფაქტურად ჩაიშალა. პენსიებს რაღაც კაპიუები დეუმატეს. ეს ოდნავაც ვერ დაკმაყოფილებს ფეხბურთელთა თავდაპირველ მოთხოვნებს.

ი. ზასპაკოვი, (საკდესის კორ.), ნიუ-იორკი, რედაქტორი მ. კაპაბლანკა.